კონკურსი თსუ-ს ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისთვის ბურგოსის უნივერსიტეტში ერაზმუს+ პროგრამის სტიპენდიის მოსაპოვებლად

ცხადდება კონკურსი თსუ-ს ბაკალავრიატის საფეხურის მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე სემესტრის სტუდენტენტებისთვის ბურგოსის უნივერსიტეტში (ესპანეთი) ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის სტიპენდიის მოსაპოვებლად

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საფეხურის მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე სემესტრის შემდეგი მიმართულების სტუდენტებს.

სასწავლო მიმართულება: ბიზნესის ადმინისტრირება
მობილობის პერიოდი: 2025 წლის შემოდგომის სემესტრი

სტიპენდია მოიცავს:

- სწავლის გადასახადისაგან გათავისუფლებას,
- ყოველთვიურ სტიპენდიას ევროკომისიის მიერ დადგენილი ნიხრით
- ორმხრივი საერთაშორისო მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებას ევროკომისიის მიერ დადგენილი ნიხრით
- დამატებით 250 ევრო თვეში, სპეციალური საჭიროების მქონე ბენეფიციარებისთვის, რომლებიც შეძლებენ 33%-ზე ან მეტი ხარისხის შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენას.

განაცხადების წარდგენა:
განაცხადები იგზავნება ბურგოსის უნივერსიტეტი (UBU) პლატფორმის მეშვეობით, ქვემოთ წარმოდგენილი ეტაპების მიხედვით:

https://sigma.ubu.es/regis/controlreg/%5bmtoAlta%5dRegistroPublico?entradaPublica=true&destino=MOV&idioma=en&pais=GB

- შეავსეთ სარეგისტრაციო ფორმა.
- თქვენს e-mail ანგარიშზე მიიღებთ თქვენთვის მინიჭებულ მომხმარებლის სახელს.
- შექმენით პაროლი.
- თქვენი მომხმარებლის სახელით და პაროლით შედით სისტემაში.
- დააწკაპუნეთ "Slicitud de intercambio de entrada".
- აირჩიეთ “გაცვლითი პროგრამა” - Erasmus KA 171.
- დააწკაპუნეთ "დამატება".
- შეავსეთ თქვენი პირადი მონაცემები.
- გთხოვთ, ატვირთოთ ყველა საჭირო დოკუმენტი. (აუცილებელია, რადგან შესაბამისად შეფასდეს თქვენი განაცხადი).

<u>სააპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:</u>

- ფოტოსურათი 3x4;
- პასპორტის ასლი;
- შეფასებების ამონაწერი აპლიკანტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო დისციპლინების მიხედვით, GPA-ის მითითებით (გაცემული ინგლისურ ენაზე, სკანირებული pdf ვერსია);
- შევსებული სასწავლო ხელშეკრულება, არჩეული კურსების ჩამონათვალი;
- ესპანური ენის დამადასტურებელი სერთიფიკატი, გარდა სტუდენტებისა, რომელთა მშობლიური ენა ესპანურია. მოქმედებს მშობლიური უნივერსიტეტის მიერ გაცემული სერთიფიკატი.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში).

– შენახვა

შენიშვნა: დოკუმენტები უნდა იყოს წარმოდგენილი ესპანურ ან ინგლისურ ენებზე.

განაცხადის მიღების ბოლო ვადა: **2025 წლის 6 მარტი**

⇒ **შერჩევის კრიტერიუმები**

– აკადემიური მოსწრება: მაქსიმუმ 5 ქულა;
– სასწავლო ხელშეკრულება: მაქსიმუმ 3 ქულა;
გაითვალისწინეთ: კანდიდატს უნდა ჰქონდეს დარჩენილი ერთი სემესტრის შესაბამისი საგნები 2025 წლის სექტემბერში, რათა უზრუნველყოს საკმარისი საგნების არჩევა UBU-ში სწავლის გასაგრძელებლად და მათი აღიარება მშობლიურ უნივერსიტეტში.
– ესპანური ენის ცოდნა: მაქსიმუმ 2 ქულა;
მინიმალური მოთხოვნა: B1 დონე;
– სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტები, რომლებიც წარადგენენ 33%-ზე ან მეტი ხარისხის შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელ დოკუმენტს: 0,5 ქულა.

კანდიდატთა შერჩევა:
სტიპენდიები გაიცემა კონკურსის საფუძველზე, დისკრიმინაციის გარეშე, გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.

- **განაცხადების შეფასება და გადამოწმება:** კანდიდატების მიერ ატვირთული განაცხადები და დოკუმენტები გადაიგზავნება შესაფასებლად პარტნიორ უნივერსიტეტში.
- **შესარჩევი საკონკურსო კომისია განიხილავს და შეამოწმებს** კანდიდატების მიერ წარდგენილ განაცხადებსა და დოკუმენტებს და შეადგენს იმ კანდიდატთა სიას, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ განაცხადში აღნიშნულ მოთხოვნებს.

- მშობლიური უნივერსიტეტი თავის შერჩეულ კანდიდატებს გაუგზავნის ბურგოსის უნივერსიტეტს (UBU), სადაც მათ შეაფასებს შესარჩევი საკონკურსო კომისია.
- **ბურგოსის უნივერსიტეტის შესარჩევი საკონკურსო კომისია** დაამტკიცებს, საჭიროების შემთხვევაში, მონაწილე უნივერსიტეტების მიერ წარმოდგენილ კანდიდატებს, მათ შორის შესაბამისი შენიშვნებისა და ცვლილებების გათვალისწინებით.
- საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, კომისიის მიერ შედგენილი შეფასების ანგარიშის საფუძველზე, შეადგენს გამარჯვებულ კანდიდატთა სიას.
- გრანტები გაიცემა საერთაშორისო თანამშრომლობის, პარტნიორობისა და სტრატეგიული ალიანსების ვიცე-რექტორის მიერ, რექტორის დავალებით. გადაწყვეტილება გამოქვეყნდება ბურგოსის უნივერსიტეტის და თსუ-ს ოფიციალურ გვერდზე, განაცხადების წარდგენის ვადის ამოწურვიდან ორ თვეში. თუ პასუხი არ იქნა გაცემული/დადასტურებული თქვენთვის მოცემული დროის განმავლობაში, ის ჩაითვლება უარყოფითად.

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, დაუკავშირდით საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს ელ-ფოსტაზე: outgoingmobility@tsu.ge